

## სარჩელის ფორმა

არასრულწლოვნისთვის ადაპტირებული

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლება დაირღვა, შეგიძლიათ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართოთ სასამართლოს. ამისათვის აუცილებელია სარჩელის ფორმის შევსება. ამ ფორმის შესავსებად, თქვენ შეგიძლიათ ვინმე დაიხმაროთ (ოჯახის წევრი, მეგობარი და სხვა). შეეცადეთ, არაფერი გამოტოვოთ და ყველა ნაწილი შეავსოთ. თუ შევსებისას კითხვები გექნებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე (995 32) 2273100 და ჩვენ დაგეხმარებით. თუკი რომელიმე ნაწილის შევსებას ვერ მოახერხებთ, თქვენ მიერ შევსებულ ფორმას სასამართლო მაინც მიიღებს. ნიმუშისთვის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)



### სად მივიტანო სარჩელი?

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შევსებული ფორმა ასევე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შესაბამისი სასამართლოს ელექტრონულ მისამართზე, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ პორტალზე: [court.ge](http://court.ge)

### რას აკეთებს სასამართლო სარჩელის წარდგენის შემდეგ?

თქვენი სარჩელი გადაეცემა მოსამართლეს. მოსამართლე არის ადამიანი, რომელიც ყურადღებით გაეცნობა თქვენს მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დაგიკავშირდებათ, ასევე დაგინიშნავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ინტერესებს დაიცავს და მიიღებს თქვენი ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებას.



**მონაცემები თქვენ შესახებ:**

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

პირადი ნომერი (პირადი ნომერი ჩაწერილია \_\_\_\_\_

*დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და პასპორტში)*

საცხოვრებელი ადგილი/მისამართი \_\_\_\_\_

მობილური \_\_\_\_\_

**მონაცემები იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც დაარღვია თქვენი უფლება:**

სახელი, გვარი \_\_\_\_\_

პირადი ნომერი (პირადი ნომერი ჩაწერილია \_\_\_\_\_

*დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და პასპორტში)*

საცხოვრებელი ადგილი/სამუშაო ადგილი \_\_\_\_\_

მობილური \_\_\_\_\_

**გთხოვთ აღწეროთ, რაში გამოიხატა თქვენი უფლების დარღვევა**

---

---

**რა არის თქვენი მოთხოვნა?**

---

**გთხოვთ, დაურთოთ ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც თქვენი მოთხოვნის დადასტურებას შეძლებთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

---

ხელმოწერა: ----- თარიღი -----